განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
8.10.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
08.11.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211359448
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი 0319
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №17, 03.02.2015

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ემზარ ჯგერენაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	იაგო კაჭკაჭიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა არეშიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ მუქერია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა თავისუფალ უნივერსიტეტში 2015 წლიდან მიმდინარეობს. სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინურია, რაც უზრუნველყოფილია სავალდებულო და არჩევითი კურსებით. პროგრამა 120 კრედიტს მოიცავს და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: 1. საერთო სავალდებულო; 2. სპეციალობის სავალდებულო; 3. კვლევითი და 4. სამაგისტრო ნაშრომი. პროგრამა მიმართულია სწავლებასა და კვლევაზე. პროგრამის თავისებურება მდგომარეობს ტუტორიალების სისტემაში. ტუტორიალების სისტემა გულისხმობს სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომზე, სტუდენტის კვლევით პროექტზე ორიენტაციას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ სამაგისტრო პროგრამაში მიღების პირველ ფაზაშივე (გასაუბრება) დგინდება პროგრამაში სწავლის მსურველის/კანდიდატის კვლევითი ინტერესები და მისი ჩარიცხვის საკითხი წყდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვალიფიკაციის, სამეცნიერო ინტერესებისა, აკადემიური პერსონალის კვლევით პროექტებისა და გამოცდილების გათავლისწინებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს 2019 წლის 8 ოქტომბერს ეწვია. კომისიამ მუშაობა შეთანხმებული დღის წესრიგით დაიწყო. უნივერსიტეტმა შესანიშნავად უზრუნველყო ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო პირობები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, აკადემიურმა შემადგენლობამ, დამსაქმებლებმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აკრედიტაციის პროცესის მიმართ მაღალი ინტერესი გამოავლინეს. მუშაობა მიმდინარეობდა ტექნიკურად გამართულ გარემოში. ექსპერტებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ვიზიტის მიზნები და ამოცანები, რამაც კეთილგანწყობის და გულახდილი დიალოგის ატმოსფერო შექმნა. ექსპერთა ჯგუფმა აკრედიტაციის პროცესის ყველა მონაწილისაგან დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხი მიიღო.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია პროგრამის აკრედიტაციის დადგენილ სტანდარტებთან. კერძოდ, პროგრამის აღწერაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სწავლის მიზნები და ამოცანები, განსაზღვრულია სწავლის შედეგები, მათი მიღწევის გზები და მეთოდები. პროგრამა ნათლად და მკაფიოდ ადგენს სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმებს, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმატებულ წარმართვას, რაც მიიღწევა სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობისადმი დიდი წონის მინიჭებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით პროგრამა შესანიშნავად არის აღჭურვილი. პროგრამა არსებითად უზრუნველყოფს სოციალურ მეცნიერებებში ხარისხიან განათლებას, საკმარისად არის მოქნილი და ღიაა სიახლეებისადმი; აქვს შესაძლებლობა გაუმკლავდეს სხვადასხვა საგანმანათლებლო ხასიათის გამოწვევას. შესაბამისად, პროგრამას აქვს განვითარების რესურსი.

- **რეკომენდაციები**

1. სოციალურ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა დიდ ყურადღებას უთმობს კვლევით კომპონენტს (რაც პროგრამის უდავო ღირსებაა), თუმცა, სოციალური კვლევის მეთოდები არსებითად შემოფარგლულია თვისებრივი კვლევის მეთოდების სწავლებით და პრაქტიკულად არ ითვალისწინებს **რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს,** რომელიც სოციალურ მეცნიერებების მაგისტრის კვალიფიკაციის აუცილებელი ნაწილია.

2. სოციალურ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა სავალდებულო კვალიფიკაციის ნაწილად არ მიიჩნევს სტატისტიკის საბაზისო და მოწინავე (Advanced) ელემენტების ცოდნას. სამაგისტრო პროგრამის სავალებულო დისციპლინათა ჩამონათვალში უნდა შედიოდეს **სტატისტიკის** კურსი.

3. სოციალურ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამის ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე მოითხოვება საკვლევი პრობლემების ანალიზი სხვადასხვა თეორიული მიდგომისა და კონცეპტუალური ჩარჩოს საფუძველზე; თუმცა, აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს სოციალურ თეორიათა მხოლოდ გარკვეული ნაწილის სწავლებას და ყურადღების მიღმა ტოვებს მნიშვნელოვან თანამედროვე სოციალურ-თეორიულ პარადიგმებს (მაგალითად, ეთნომეთოდოლოგიას, სისტემების თეორიას, პოსტმოდერნიზმს და ა.შ.). შესაბამისად, საჭიროა სასწავლო პროგრამის გაძლიერება აღნიშნული მიმართულებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - გაიზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა;
  - გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი, სწავლებისა და კვლევის პროცესში უცხოელი პროფესორების/მკვლევრების ჩართვით;
  - გამომდინარე იქიდან, რომ სოციალურ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამას გააჩნია სამი მოდული (რელიგია და საზოგადოება, საერთაშორისო ურთიერთობები და კულტურის კვლევები), პროგრამის სახელწოდება (და არა მისანიჭებელი კვალიფიკაციის) მოდიფიცირდეს აღნიშნული კონცენტრაციების გათვალისწინებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

ტუტორიალების - სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის - კომპონენტი; სწავლებისა და კვლევის სინთეზი; აპლიკანტების სელექციის ლატენტური კრიტერიუმის გამოყენება: აპლიკანტის სამეცნიერო ინტერესების თანხვედრა პროფესორ-მასწავლებლების სამეცნიერო და კვლევით ინტერესებთან.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სარჩევი

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 6

1.1 პროგრამის მიზნები 6

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები 7

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 9

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები 9

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 10

2.3. სასწავლო კურსი 13

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება 14

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები 15

2.6. სტუდენტების შეფასება 16

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 18

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება 18

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა 20

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 22

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება 24

4.3 მატერიალური რესურსი 25

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა 26

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 28

5.1 შიდა ხარისხის შეფასება 28

5.2 გარე ხარისხის შეფასება 29

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება 30

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

სოციალურ მეცნიერებათა სასწავლო პროგრამა ნათლად და მკაფიოდ განსაზღვრავს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, მათ შორის კავშირი დასაბუთებულია. სასწავლო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია თავისუფალი უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმასთან.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციალურ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს პრობლემაზე ორიენტირებულ, ინტერდისციპლინურობასა და საერთაშორისო გამოცდილებაზე/ სტანდარტებზე დაფუძნებულ სწავლებასა და კვლევითი უნარების გამომუშავებას. აკრედიტაციის კომისიამ, ერთი მხრივ, დოკუმენტების ანალიზის, ხოლო, მეორე მხრივ, თავისუფალი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიიჩნია, რომ პროგრამის გაცხადებული მიზნები, არსებითად რეალისტური და მიღწევადია; პროგრამა ადგენს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული; კერძოდ: ▪ სასწავლო პროგრამა ძირითადად შეესაბამება სოციალურ მეცნიერებებში საერთაშორისო აკადემიურ გამოცდილებას; ▪ პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და კონიუნქტურას, ასევე, სოციალური მეცნიერებების, როგორც დისციპლინათა თავსებადი ნაკრების, განვითარების მოთხოვნებს; ▪ პროგრამას აქვს ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები, ის ღიაა როგორც სტუდენტთა, ისე პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო გაცვლითი პრაქტიკებისთვის; ▪ სამაგისტრო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა სპეციალობის მქონე აპლიკანტისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სოციალურ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო პროგრამის (კურიკულუმის) აღწერა; • სასწავლო კურსები/სილაბუსები; • აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, სივი; • თვითშეფასების დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, სოციალურ მეცნიერებათა სასწავლო პროგრამის მეტი პოპულარიზაცია პოტენციურ სტუდენტებში

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

სწავლებისა და კვლევის სინთეზი

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა.

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციალურ მეცნიერებათა სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს იმ კვალიფიკაციასა და უნარ-ჩვევებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; პროგრამის შედეგები გაზომვადია სხვადასხვა მკაფიოდ გაწერილი ინდიკატორის საფუძველზე.

- პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან;
- პროგრამის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური;
- მისანიჭებელი ხარისხი შეესაბამება პროგრამის შინაარსს;

- პროგრამა შესაბამისობაშია კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებთან;
- შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;
- პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.

- **მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- სწავლის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (მოქმედი პროგრამის შემთხვევაში);
- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

სასწავლო პროგრამასა და დამსაქმებლებს შორის მიზნობრივი კომუნიკაცია

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე. აპლიკანტმა უნდა დააკმაყოფილოს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერისიტეტის შიდა რეგულაციით დადგენილი მოთხოვნები. კერძოდ, მოითხოვება ინგლისური ენის ცოდნა - B2 დონე. ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის არქონის შემთხვევაში, აპლიკანტი აბარებს ზეპირ და წერით გამოცდას. გარდა ამისა, მოქმედებს ლატენტური კრიტერიუმიც, კერძოდ: აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი სამეცნიერო კვლევითი ინტერესები, რომლებიც თანხვედრაშია პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაციასა და სამეცნიერო ინტერესებთან. პროგრამა ითვალისწინებს მობილობას. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი თანხვედრაშია დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან, უზრუნველყოფს სწავლის მოსალოდნელ შედეგებს. აპლიკანტებისათვის უზრუნველყოფილია პროცესის/პროცედურის გამჭვირვალობა, სამართლიანობა და საჯაროობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი • საგანმანათლებლო პროგრამა

- სამაგისტრო პროგრამის დებულება
- ვებგვერდი
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

საუკეთესო პრაქტიკად გასაუბრების პროცესში აპლიკანტების სელექციის ლატენტური კრიტერიუმი მიიჩნევა: აპლიკანტის სამეცნიერო ინტერესების თანხვედრა პროფესორ-მასწავლებლების სამეცნიერო და კვლევით ინტერესებთან.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან.

1. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შექმნილია სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენებით. ის შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები. მასში მეტწილად ასახულია საერთაშორისო გამოცდილება. პროგრამა შედგენილია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით. პროგრამა განსაზღვრავს: მიზანს, სწავლების ენას, დასაქმების სფეროებს. სასწავლო კურიკულუმი გამართულია. მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სტუდენტების შეფასების სისტემა. პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსები სრულებით აკმაყოფილებს სწავლების მიზნებს და პასუხობს დასმულ ამოცანებს. საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს მოიცავს - საერთო სავალდებულო, სპეციალობის სავალდებულო, კვლევით და სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტებს.

3. კურიკულუმის კომპონენტებს შორის კრედიტების განაწილება მისაღებია. სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი არიან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრები და შესაბამისი სამსახურები. თუმცა, სოციალური მეცნიერების მაგისტრის კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელია სავალდებულო მოდულს დაემატოს სასწავლო კურსები/შესაბამისი თემატიკა/ან მოდული/საგანი: 1. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები 2.სტატისტიკა 3. თანამედროვე სოციოლოგიური/სოციალური თეორიები. კომისიის აზრით, ამ კურსების გარეშე სოციალური მეცნიერების სამაგისტრო ხარისხი და კვალიფიკაცია სრულყოფილი ვერ იქნება. ამასთან, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების ინტეგრირება შესაძლებელია სოციალური კვლევის მეთოდების კურსის ფარგლებში, ხოლო სოციალურ და პოლიტიკურ თეორიათა არსებული კურსი შეიძლება გამდიდრდეს სხვადასხვა მოდერნული და პოსტმოდერნული თეორიებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „სოციალური მეცნიერებები“ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში განსაზღვრულია როგორც არაკლასიფიცირებული სწავლის სფერო, რაც ნიშნავს იმას, რომ „არაკლასიფიცირებულ დეტალურ სფეროში კლასიფიცირდება მხოლოდ ის სწავლის სფერო, რომელიც მიეკუთვნება მოცემულ ვიწრო სფეროს, მაგრამ არ კლასიფიცირდება ამ ვიწრო სფეროსთვის კლასიფიკატორით დადგენილ არცერთ დეტალურ სფეროში. არაკლასიფიცირებულ დეტალურ სფეროში განთავსებულ სწავლის სფეროს, პირველ რიგში, კავშირი აქვს ვიწრო სფეროსთან და შეიძლება მხოლოდ ამ საფუძვლით უკავშირდებოდეს იმავე არაკლასიფიცირებულ დეტალურ სფეროში არსებულ სხვა სწავლის სფეროებს”.

შესაბამისად, აღნიშნული კვალიფიკაციის დასახელება კავშირშია ვიწრო სფეროსთან „031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები“ და არ განეკუთვნება ამ ვიწრო სფეროს არცერთ დეტალურ სფეროს (**0311 ეკონომიკა; 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები; 0313 ფსიქოლოგია; 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები**). წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სწორედ ამ პრინციპით არის აგებული და შეესაბამება კლასიფიკატორის მოთხოვნებს.

დამატებით სამი სასწავლო კურსები/შესაბამისი თემატიკა/ან მოდული/საგანი ჩასმა სავალდებულოდ, არ გამოიწვევს სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის მნიშვნელოვან გაზრდას. ინტერვიუებიდან ცხადი გახდა, რომ პროგრამაში ჩართულ პროფესორებს აქვთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდებისა და თანამედროვე სოციოლოგიური/სოციალური თეორიების სწავლებისათვის საჭირო კვალიფიკაცია. რაც შეეხება სოციალურ სტატისტიკას, ამ კურსის სწავლების რესურსი, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, ზოგადად, აქვს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- საწავლო კურიკულუმები
- კომპეტენციების რუკა
- ვებგვერი
- უნივერსიტეტის სტრატეგული გეგმა
- ინტერვიუ
- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

სოციალური მეცნიერების მაგისტრის კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელია სავალდებულო მოდულს დაემატოს ახალი სასწავლო კურსები: 1. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. 2. სტატისტიკა 3. თანამედროვე სოციოლოგიური/სოციალური თეორიები. ამ კურსების გარეშე სოციალური მეცნიერების სამაგისტრო ხარისხი და კვალიფიკაცია სრულყოფილი ვერ იქნება. ამასთან, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების ინტეგრირება შესაძლებელია სოციალური კვლევის მეთოდების კურსის ფარგლებში, ხოლო სოციალურ და პოლიტიკურ თეორიათა არსებული კურსი უნდა გამდიდრდეს სხვადასხვა მოდერნული და პოსტმოდერნული თეორიებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სხვებისთვის ნიმუშად ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსები შესაბამისობაშია პროგრამით დასახულ მიზნებთან, ამოცანებსა და პროგრამით განსაზღვრულ შედეგებთან. კრედიტები სწორად არის განაწილებული. კურიკულუმებში დასახელებული სასწავლო მასალა შესატყვისობაშია კურიკულუმის/სილაბუსის თემებთან, გამოყენებულია კლასიკური და თანამედროვე, აქტუალური წყაროები. კურიკულუმი შესაბამისობაშია პროგრამით დასახულ მიზანთან, სწავლების სამაგისტრო საფეხურთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურიკულუმი
- სილაბუსები
- კომპეტენციების რუკა
- აკადემური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია
- ინტერვიუ
- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს საინტერესო ნიმუში ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა ხის აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენთა მიერ პრაქტიკული, კვლევითი და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების შეძენას, ის მეტწილად აკმაყოფილებს ტრანსფერულ უნარებს, რადგან პროგრამა არ გულისხმობს რაოდენობრივი მეთოდების, სტატისტიკისა და თანამედროვე სოციოლოგიური/სოციალური თეორიების სავალდებულოობას სოციალური მეცნიერებების მაგისტრის ხარისხის მაძიებლისათვის.
ეს სამი დისციპლინა ტრანსფერულ უნარებს გააძლიერებდა და კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემდა როგორც შრომის ბაზარზე, ისე აკადემიურ კარიერაში მეტი წარმატებისათვის მიეღწია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუ
- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

ტრანფერული უნარების სრულყოფისათვის, აუცილებელია პროგრამის სავალდებულო მოდულს დაემატოს: რაოდენობრივი მეთოდები, სტატისტიკა და თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ გვაქვს

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები რელევანტურია. კერძოდ, ინდივიდუალური მუშაობა სტუდენტებთან, პროფესორების სტუდენტებთან კომუნიკაციის მაღალი ხარისხი, პროგრამის კომპონენტების შეხამება მაგისტრანტის კვლევით ინტერესებთან. სწავლების პროცესში გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული ძირითადი მეთოდები: ლექცია, სემინარი, დისკუსია, ჯგუფური მუშაობა და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

კომისიამ საუკეთესო პრაქტიკად სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა მიიჩნია

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა ჩინი აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და თანხვედრაშია მინისტრის №3 ბრძანებასთან. შეფასების პროცესში გამოიყენება უმაღლესი განათლების შესახებ კანონით დადგენილი რეგულაციები. სტუდენტთა ცოდნა მოწმდება შუალედური და დასკვნითი შეფასებით, სადაც დადგენილია კომპეტენციის მინიმალური ზღვარი. შეფასების სისტემა თანხვედრაშია სწავლის მოსალოდნელ შედეგებთან. შეფასების კრიტერიუმები არის გამჭვირვალე. სტუდენტებმა იციან, რა კრიტირიუმებით მოწმდება მათი ცოდნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- დებულება
- ვებ-გვერდი
- ინტერვიუ

- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამაგალითო ნიმუშად ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიურ განვითარებას. კონკრეტულად, სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა იძლევა შესაძლებლობას სტუდენტებმა გაიარონ დამატებითი კონსულტაციები სასურველ ლექტორებთან, რომელიც ძირითადად შეეხება სტუდენტის საკვლევ თემას. ასევე სტუდენტების მცირე რაოდენობიდან გამომდინარე პროგრამა იძლევა ინდივიდუალური მუშაობის საშუალებას და თითოეულ სტუდენტს ლექტორისაგან ეთმობა დამატებითი დრო და ყურადღება. სტუდენტების შეფასების კრიტერიუმები და მექანიზმები წინასწარ არის გაწერილი სილაბუსებში, რომელსაც ლექტორი სტუდენტებს სასწავლო სემესტრის დაწყების წინ აცნობს. სტუდენტებმა, კალენდარული გეგმიდან გამომდინარე, იციან, როდის ხდება კონკრეტულ საგნებში ცოდნის შეფასება. ამასთან ერთად, უნივერსიტეტში არსებობს საგამოცდო ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გამჭვირვალე გარემოში განხორციელებასა და შეფასების თანასწორობის პრინციპის დაცვას. ასევე პროცესის გამჭვირვალეობას უზრუნველყოფს გამოცდების ჩატარების წესი, რომელიც უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებს შორის ერთ-ერთია. გამოცდების ჩატარების წესი აღწერს და განმარტავს სტუდენტისა და ცენტრის უფლება-მოვალეობებს. თუმცა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვით ირკვევა, რომ პროგრამის სტუდენტებს იშვიათად აქვთ გამოცდები საგამოცდო ცენტრში, რადგან პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკაზე და შეფასებაც ხდება პრეზენტაციების, კვლევების, რეფერატებისა და სხვა პრაქტიკული დავალებების საფუძველზე. თვითშეფასების ანგარიშიდან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებით ვლინდება, რომ უნივერსიტეტში შექმნილია უშუალო გარემო, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს ისაუბროს აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან, მიიღოს მათგან საჭირო ინფორმაცია და თავადაც მისცეს უკუკავშირი კონკრეტული საკითხის შესახებ. ამ პროცესს უფრო გამჭვირვალეს და მოქნილს ხდის უნივერსიტეტში სტუდენტების დეკანის ინსტიტუტი. დეკანი ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია სტუდენტებსა და უნივერსიტეტის აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ მენეჯმენტს შორის და ახმოვანებს სტუდენტთა პრობლემებსა და გამოწვევებს, რაც, ერთი მხრივ, ამარტივებს

კომუნიკაციას სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის, მეორე მხრივ კი, ხელს უწყობს სტუდენტების კანონიერი უფლებების მხარდაჭერას.

სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე პასუხისმგებელია სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი და სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი. ისინი მონაწილეობენ სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების დაგეგმვაში, ასევე ხელს უწყობენ უნივერსიტეტს, სამეცნიერო-კვლევით სივრცეში ინტეგრირების პროცესს.

თვითშეფასების ანგარიშიდან, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან საერთაშორისო მობილობის, დასაქმების, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების, კონფერენციებისა და საგრანტო პროექტების შესახებ. ისინი ამ ინფორმაციას იღებენ სტუდენტების დეკანისა და პროგრამის კოორდინატორისგან, როგორც პირადი კონსულტაციის, ასევე ელ-ფოსტისა და უნივერსიტეტის საიტის http://freeuni.edu.ge მეშვეობით. თუმცა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით გამოვლინდა ტენდენცია, რომ სტუდენტები აქტიურად არ ერთვებიან სამეცნიერო კონფერენციებსა და პროექტებში, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია.

რაც შეეხება სტუდენტთა კარიერულ განვითარებას თვითშეფასების ანგარიშიდან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს ხელს უწყობს კარიერულ განვითარებაში, კერძოდ, უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ოფისი, რომელსაც ხელმძღვანელობს დასაქმების მენეჯერი. დასაქმების მენეჯერი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან და ასევე ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს. აღნიშნულთან ერთად, დასაქმების ოფისი მართავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, მაგალითად: ტრენინგები CV-ის შედგენასა და გასაუბრების ტექნიკებზე, დასაქმების ფორუმი, რომელიც სემესტრში ერთხელ იმართება და მასში 100-მდე სხვადასხვა კომპანია იღებს მონაწილეობას და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ დასაქმების ოფისი აწარმოებს დასაქმების მაჩვენებელთა მონიტორინგს და პერიოდულად იღებს უკუკავშირს დამსაქმებლებისგან. კონკრეტულად სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები თანამშრომლობენ რამდენიმე ორგანიზაციასთან. მათ შორის აღსანიშნავია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, რომელმაც დაასაქმა ერთ-ერთი ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- გამოცდების ჩატარების წესი
- სტუდენტის ეთიკის კოდექსი
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა
- უნივერსიტეტის შინაგანაწესი
- მაგისტრატურის დებულება
- აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრება

- უნივერსიტეტის ვებგვერდი (http://freeuni.edu.ge/ge/documents)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, უნივერსიტეტმა და ლექტორებმა წაახალისონ სტუდენტების სამეცნიერო აქტივობა, რათა მეტი სტუდენტი ჩაერთოს სამეცნიერო კონფერენციებში, გამოაქვეყნონ სტატიები და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სამეცნიერო პროექტებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამაგალითო ნიმუში ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომით. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომისათვის მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. პროგრამა ორიენტირებულია კვალიფიციური ნაშრომის შექმნაზე, აქედან გამომდინარე არის შედგენილი სასწავლო გეგმაც.

რაც შეეხება სამაგისტრო თემის არჩევას: სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი თემა, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოდულში მოცემულ თემებს, ამიტომ სტუდენტებს პროგრამაში ჩაბარების პროცესში უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილი თუ რომელი

სფეროს კვლევა სურს, რადგან პროგრამა ვერ უზრუნველყოფს ზოგიერთი საკითხის ძირეულად შესწავლას.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს: თვითშეფასების ანგარიშიდან, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებად მაგისტრანტს სთავაზობენ პროფესორებს, რომელთაც აქვთ თეორიული და პრაქტიკული დარგობრივი გამოცდილება, ფლობენ დოქტორის ხარისხს, გამოქვეყნებული აქვთ არაერთი სამეცნიერო სტატია ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში და, რაც მთავარია, პროფესორების ცოდნა და გამოცდილება მაგისტრანტის სამეცნიერო ინტერესებთან თანხვედრაშია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ცხადყოფს, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს აქვთ მაღალი კვალიფიკაცია წარმატებით გაართვან თავი დაკისრებულ მოვალეობას.

ნაშრომის ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, უწევს კონსულტაციას, გამოთქვამს შენიშვნებს და, კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში, ეხმარება ავტორს. სტუდენტი ინდივიდუალურად მუშაობს ნაშრომზე და ასევე ინდივიდუალურია კონსულტაციაც, რომელსაც საჭიროებიდან გამომდინარე უნიშნავს ხელმძღვანელი სტუდენტს. გარდა ამისა, უშუალოდ ნაშრომის დაწერამდე სტუდენტი გადის კურსს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების მეთოდოლოგიაში, სადაც დეტალურად სწავლობს, თუ როგორ უნდა იყოს აგებული სამაგისტრო ნაშრომი და პრაქტიკულად ახორციელებს კვლევას, რაც წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად მოსამზადებელ სამუშაოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- თვითშეფასების ანგარიში
- მაგისტრატურის დებულება
- აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრება
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროცესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა ბოლო აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსებით, რაც სწავლებისა და კვლევის კარგ პირობას ქმნის.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის სწავლებასა და კვლევაში მონაწილეობენ გამოცდილი და მაღალი აკადემიური კვალიფიკაციის პროფესორები. აკადემიური პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია სტუდენტთა რაოდენობასთან. უფრო მეტიც, პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა სტუდენტებს აძლევს ფუფუნებას, ნებისმიერ დროს მიმართონ აკადემიურ პერსონალს სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებული სხვადასხვა კითხვით.
პროგრამის ხელმძღვანელი არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე მკვლევარი, რომელიც უშუალოდ ჩართულია პროგრამის განხორციელების პროცესში;
აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია (ყველა დონეზე) უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ და წარმატებულ განხორციელებას.
ადამიანური რესურსების მართვა, მისი რაოდენობის განსაზღვრა ხორციელდება ადმიანისტრაციასთან შეთანხმებით. თავისუფალ უნივერისტეტს აქვს გამომუშავებული ადამიანური რესურსების მართვის მიდგომა, რომელიც ჩვენი დაკვირვებით, ეფექტურად და წარმატებით მუშობს.
ადამიანური რესურსების შერჩევა ხდება დადგენილი წესით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებთან. ადამიანური რესურსების შერჩევა ხდება პროფესიული გამოცდილების, მიღწევების გათვალისწინებით, ხოლო მიღების შემდეგ მათი განვითარების ხელშეწყობა უზრუნველყოფილია სამეცნიერო აქტივობების წახალისებით. ადამიანური რესურსების მიღწევების შესწავლა ხდება მათ აკადემიურ პუბლიკაციებზე, კონფერენციებსა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობაზე დაკვირვებით. დაკვირვების შედეგები ასახულია თვითშეფასების დოკუმენტში. ჩვენს მიერ ჩატარებული ინტერვიუებიდან და ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენლი დომუკმენტაცის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური რესურსები სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის მიერ მოთხოვნილ პირობებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუნეტი
- პროფესორ-მასწავლებლების პირადი საქმეები
- სასწავლო გეგმები/სილაბუსები
- სემინარები
- მეცნიერთა ყოველწლიური საქმიანობის შეფასება

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ადამიანური რესურსების ოპტიმალური რაოდენობა კარგ პირობას უქმნის პროფესორებს კვლევისა და ინდივიდუალური განვითარებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- თავისუფალი უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში დოკუმენტების გაცნობისა და ინტერვიუების ჩატარების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა მუდმივად აკვირდება შტატში მომუშავე/აფილირებული და მოწვეული პროფესორ-მასაწავლებელების პროფესიულ განვითარებას. პერმანენტულად აანალიზებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა დიდ ყურადღებას უთმობს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას. ხელს უწყობს პროფესორ-მასწავლებლებს კვლევითი პროექტების განხორციელებასა და ნაშრომების გამოქვეყნებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულნი არიან მაღალი აკადემიური კვალიფიკაციის პროფესორები. აკადემიური კვალიფიკაცია მისადაგებულია, მორგებულია პროგრამის მიზნებსა და სტუდენტების რაოდენობას. მოწვეულ პროფესორებთან ერთად აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 14-ს, რაც სრულებით ფარავს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების, ამოცანებისა და დასახული შედეგების სრულყოფილად მიღწევას. პროგრამას სათავეში უდგას მაღალი კვალიფიკაციის მქონე დეკანი. გათვალისწინებულია

და კარგად არის ჩამოყალიბებული სამაგისტრო პროგრამაში პროფესორების რაოდენობის განსაზღვრის სტრატეგია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის პირადი საქმეები
- ინტერვიუ
- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

კომისიამ საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნია „პერსონალის კომპოზიცია“ პროგრამის საჭიროების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნული კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ზოგადად უნივერსიტეტი, კერძოდ კი სოციალური მეცნიერებების საგანმანათლებლო პროგრამა, მატერიალური რესურსების თვალსაზრისით შესანიშნავადაა

უზრუნველყოფილი. პროგრამას აქვს სწავლებისა და კვლევის ინფრასტრუქტურა, რომელიც აქტიურად გამოიყენება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქონების ფლობის დოკუმენტები
- რესურსების ვიზუალური დათვალიერება
- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიურ პერსონალსა და ადმინისტრაციასთან ინტერვიუმ ექსპერტთა ჯგუფის წევრებისათვის ნათელი გახადა, რომ პროგრამა ფინანსურად სრულებით უზრუნველყოფილია. პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გადაწყვიტონ სასწავლო და კვლევითი ამოცანები. პროგრამის ფინანსური მდგრადობა ეჭვს არ იწვევს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი და პროგრამის დანახარჯები
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სანიმუშო ნიმუშად ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა ბოლო აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების, ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თავისუფალ უნივერისტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ხარისხის კონტროლს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სისტემის მუშაობაში მონაწილეობენ როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სამსახურები, ასევე აკადემიური პერსონალი. სამსახურის საქმიანობა უშუალოდ რექტორის კონტროლს არის დაქვემდებარებული. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის ტოტალური უზრუნველყოფის სქემა, რომელიც მკაფიოდ ასახავს სისტემის მუშაობას. აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნავს აკადემიური პერსონალის პროფესიური განვითარების მენეჯერი. სხვადასხვა სამსახურების ერთობლივი თანამშრომლობა (პრორექტორები სასწავლო პროცესის მართვისა და განვითარების საკითხებში, სტუდენტების დეკანი და ა.შ.) ხარისხის კონტროლისა და პროგრამის განვითარების კარგ პირობას ქმნის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვა და გეგმა
- კვლევის მასალები
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

არ გავქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ გავქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამაგისტრო ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი თვითშეფასებისა და სხვა დოკუმენტებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ მთლიანად უნივერსიტეტი და, კერძოდ, სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა, მიმართავს ე.წ. peer review-ს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ადამინისტრაციის წარმოდგენილი დოკუმენტაცია
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

არ გავქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ გვაქვს

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდებით, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვას, ხოლო, მეორე მხრივ, პროგრამის მიზნების, სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკის გამოყენებით ცოდნის შემოწმებას. ამ პროცესს უნივერსიტეტში და, კონკრეტულად, პროგრამაში აქვს პერმანენტული ხასიათი. პროგრამის სწავლების მოდელი შემუშავებულია პროფესორ ჯონ ბიგსის მეთოდოლოგიით. სწავლის შედეგების შეფასებას, სასწავლო კურსებიდან მიღებული ცოდნის რელევანტურობას განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელი და

აკადემიური პერსონალის პროფესიური განვითარების მენეჯერი. შეფასებისა ან სხვა რომელიმე კომპონენტში პრობლემების აღმოჩენის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი და პროცესში ჩართული სამსახურები პროფესორთან ერთად განიხილავენ საკითხებს და ეძებენ პრობლემის მიზეზებსა და მათი გადაწყვეტის გზებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სწავლის შედეგები
- მიზნებისა და შედეგების რუკა
- შრომის ბაზრის მოთხოვნები
- სტრატეგიული გეგმა
- გამოკითხვები
- ინტერვიუ
- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

არ გავქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ გავქვს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ემზარ ჯგერენაია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

იაგო კაჭკაჭიშვილი

მამუკა არეშიძე



მარიამ მუქერია